სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №278
2024 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე განათების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ – სამოქალაქო ავიაციის დირექტორის 2016 წლის №59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე განათების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ – სამოქალაქო ავიაციის დირექტორის 2016 წლის №59 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310050020.54.066.016097) დამტკიცებულ ,,საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე განათების უზრუნველყოფის წესში" შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. აეროდრომის ექსპლუატანტი ვალდებულია მის მიერ ექსპლუატირებად აეროდრომზე, ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს განათება და მისი შემდგომი ექსპლუატაცია ამ წესის შესაბამისად.

2. აეროდრომის ექსპლუატანტი ვალდებულია 5 წელიწადში ერთხელ განახორციელოს ბაქნის განათების შემოწმება ამ წესის №1 დანართით განსაზღვრული მეთოდიკის შესაბამისად და უზრუნველყოს შემოწმების შედეგების სააგენტოში წარდგენა ამ წესის №2 დანართით დადგენილი ფორმის მიხედვით *ყოველი მე-5 წლის 30 ოქტომბრამდე.*

3. ბაქანზე, ან მის ნებისმიერ ადგილას განათების საშუალებ(ებ)ის ადგილმდებარეობის ან/და მისი სიმაღლის ცვლილებისას, ასევე, სანათების სხვა ტიპის ან/და სიმძლავრის სანათებით შეცვლის შემთხვევაში ექსპლუატანტმა უნდა განახორციელოს შესაბამისი არ(ებ)ის განათების ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა ამ წესის №2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად აეროდრომის ექსპლუატანტმა ბაქნის განათების შემოწმება უნდა განახორციელოს სსიპ – საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმების ნიშნის ან/და დამოწმების მოწმობის მქონე ხელსაწყოთი, ხელსაწყოს მწარმოებლის მიერ დადგენილი ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნების გათვალისწინებით.".

2. მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ჩრდილების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, განათების საშუალებების განთავსება და მიმართულება უნდა შეირჩეს ისე, რომ საჰაერო ხომალდის სადგომის ღერძის ხაზი განათებული იყოს, სულ მცირე, ორი მიმართულებიდან.

შენიშვნა: საჰაერო ხომალდის სადგომთან განათების საშუალებების განთავსების ნიმუშები მოცემულია ამ წესის №3 დანართში.

4. განათების საშუალებები არ უნდა კვეთდნენ ,,აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის დამატკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით განსაზღვრულ აეროდრომის დაცვის არეს.".

3. წესის №1, №2 და №3 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**